

ლიკა ქორიძე

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
საქართველო
likakoridze83@gmail.com

**ნათესაობის აღმნიშვნელი ლექსიკა თურქულსა
და ქართულში. საქორწინო რიტუალთან
დაკავშირებული ტერმინოლოგია თურქულსა და
ქართულში**

ქართულ-თურქულ ურთიერთობებს ხანგრძლივი ისტორია აქვს. ბუნებრივია, ამ მრავალასპექტიან კონტაქტებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ლექსიკურ ნასესხობებსა და ენობრივ ურთიერთგავლენებს. ამ თვალსაზრისით გარკვეულ სამეცნიერო ინტერესს იწვევს ნათესაობის (საქორწინო რიტუალთან დაკავშირებული ტერმინოლოგია) აღმნიშვნელი ლექსიკა თურქულსა და ქართულ ენებში.

ნათესაური ურთიერთობების აღმნიშვნელი ცნებები ყველა ენაში ქმნის ორგანიზებულ სისტემას და ლექსიკაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. მათი კვლევა ენის შინაარსობრივი ბუნების ღრმად გააზრებასა და მასში მოქმედ კანონთა დანახვის შესაძლებლობას იძლევა. ნათესაურ ურთიერთობათა აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულების შესწავლით დაინტერესებული არიან ენათმეცნიერები, ეთნოლოგები, სოციოლოგები, რადგან ამ სისტემას, მისი ჩამოყალიბების დროისათვის, საზოგადოებაში რეალურად არსებულ ურთიერთობათა ანარეკლად მიიჩნევენ. მისი მეშვეობით შესაძლებელია გარკვეული წარმოდგენის შექმნა იმ დროს გავრცელებული ქორწინებისა და ოჯახის ფორმებზე.

ნათესაობის გამომხატველ ტერმინად გვევლინება სიტყვა ან სიტყვათა ჯგუფი, რომლებიც განსაზღვრავენ ნათესაური ურთიერთობის ადრინდელ ან ადრინდელ და მომდევნო წევრს ერთდროულად. მაგალითად, ქართული ტერმინით „მამიდა“ (მამის და) მოსაუბრე ყოველთვის აღნიშნავს ქალს, რომელიც მასთან გარკვეულ ნათესაურ კავშირშია. ქალი, რომელიც მოსაუბრისათვის არის „მამიდა“, გვევლინება ნათესაური ურთიერთობის ადრინდელ წევრად. თურქულში ტერმინი „Anneanne“ აღნიშნავს ბებიას (დედის მხრიდან). იგი ნათესაური ურთიერთობის ადრინდელი წევრია.

ანატოლიური თურქული ოღუზურ-სელჩუკური ჯგუფის თურქულ

ენათა განშტოებას განეკუთვნება.

თურქული მოდგმის ხალხის ნათესაური ურთიერთობების აღწერასა და შესწავლას მრავალმა მეცნიერმა მიუძღვნა ნაშრომი: ა. ლ. პაკროვსაკაიამ, ვ. ა. მოშკოვამ, ა. ნ. ბერნშტაიმმა, ა. პ. დულზონმა, ტ. ა. ჟდანკომ და სხვებმა. ისინი დაინტერესებულნი იყვნენ თურქული მოდგმის ხალხის ეთნოგრაფიით და გზადაგზა აანალიზებდნენ ნათესაობის აღმნიშვნელ ტერმინებს. მეცნიერთა ძირითადი ამოცანა იყო: 1) ყველა თურქული ენისათვის საერთო ნათესაური ტერმინოლოგიის დადგენა-დახასიათება; 2) ცალკეული თურქული ენებიდან სპეციფიკური ლექსიკურ-სემანტიკური ჯგუფების აღნიშვნა-განსაზღვრა.

კვლევის მიზანია თურქულში ნათესაობის აღმნიშვნელი ლექსიკის დადგენა-დახასიათება იმის მიხედვით, ესა თუ ის ტერმინი ენის კუთვნილებაა თუ სხვა ენიდან არის შემოსული, გამოიყენება თუ არა თანამედროვე თურქულში სხვა ენებიდან შემოსული ტერმინები, როგორია წარმოების თვალსაზრისით თითოეული მათგანი (ორგანული თუ ნაწარმოები) და მისი პარალელები ქართულ ენობრივ სამყაროში, ამ პარალელების ურთიერთგავლენა ენასა და დიალექტებში. ასევე, ძალზედ საინტერესოა მათი მონაწილეობა სიტყვათწარმოებაში და აგრეთვე მათი პოლისემიურობა.

ნათესაური ურთიერთობების ორი სახე არსებობს: სისხლისმიერი და ქორწინებითი, ამასთანავე, მისი დახასიათება შეიძლება იმის მიხედვით, პირდაპირია თუ გვერდითი, როგორია ასაკობრივი შეფარდება მის წევრებს შორის. ამასთანავე სისხლით ნათესაური ურთიერთობების აღმნიშვნელი ტერმინები ორ ჯგუფადაა დიფერენცირებული: პირდაპირი და გვერდითი ნათესაობის ტერმინები. მათი თანმიმდევრობა ასეთია:

სისხლით ნათესაობის აღმნიშვნელი ტერმინები: 1. პირდაპირი ნათესაობა: anne (დედა), baba (მამა), yavru (შვილი), kız (ქალიშვილი), oğul (ვაჟიშვილი), büyük anne (ბებია), büyük baba (ბაბუა, პაპა), torun (შვილიშვილი). 2. გვერდითი ნათესაობა: kardeş (დედმამიშვილი), yeğen (დისწული, ძმისწული), dayı (ბიძა დედის მხრიდან), amca (ბიძა მამის მხრიდან), teyze (დეიდა), hala (მამიდა), dayızade (ბიძაშვილი დედის მხრიდან), amcazade (ბიძაშვილი მამის მხრიდან), teyzezade (დეიდაშვილი), halazade (მამიდაშვილი). ქორწინებით ნათესაობის ტერმინები: karı (ცოლი), koca (ქმარი), kayınana (დედამთილი, სიდედრი), kayınbaba (მამამთილი, სიმამრი), gelin (რძალი), elti (შილი), enişte (სიძე), baldız (ცოლისდა), kayın (მაზლი; ცოლისძმა), görümce (მული), baci (ბიცოლა), bacanak (ქვისლი), dünür (მძახალი).

ანატოლიურ თურქულში ნათესაური ურთიერთობები აღინიშნება როგორც საკუთრივ თურქული ტერმინებით, რომლებიც საერთოა თურქული ენებისათვის, აგრეთვე სხვა ენებიდან, ძირითადად, არაბულიდან და სპარსულიდან შემოსული ტერმინებით.

მაგალითად, თურქულში მდედრობითი სქესის მშობელს აღნიშნავს ორგანული ტერმინი *ana||anne*, აგრეთვე სპარსული *madder*, არაბული – *üm, valide*. ქართულს ამ ცნების აღსანიშნად მხოლოდ ერთი ტერმინი „დედა“ მოეპოვება. მამრობითი სქესის მშობელს გამოხატავს *baba, ata*, რომელიც თანმედროვე თურქულში წინაპარს გადმოსცემს, აგრეთვე სპარსული – *peder*, არაბული – *valit*. ქართულში იმავე ცნებას „მამა“ გამოხატავს, კუთხურ მეტყველებაში (გურ. იმერ. მეგრ.) დაფიქსირებულია ბაბა, რომელიც თურქულიდანაა შემოსული. მდედრობითი სქესის შვილს *kız* და არაბული ტერმინები *bint, kerime* აღნიშნავს, ხოლო მამრობითი სქესის შვილს – *oğul||oğlan*. ქართულში მდედრობითი სქესის შვილს ასული და ქალიშვილი, ხოლო მამრობითი სქესის შვილს – ძე, ვაჟი, ვაჟიშვილი – გადმოსცემს.

თურქულში ლექსიკურადაა გარჩეული ნათესაობა დედის და მამის მხრიდან. ტერმინი *büyük anne* აღნიშნავს ბებიას, როგორც დედის ასევე მამის მხრიდან, ამავე დროს, ხდება მათი დიფერენციაცია, *anneanne* – დედის დედა ანუ ბებია დედის მხრიდან, *baba anne* – მამის დედა ანუ ბებია მამის მხრიდან. ქართულში მსგავსი ვითარება არ არის, ორივე მშობლის დედას აღნიშნავს დიდედა, ბებია. სხვადასხვა ტერმინით აღინიშნება დედის და მამის ძმა (*dayı, amca*), იგივე ცნებებს ქართულში გამოხატავს ბიძია, ძია, დედის და მამის ძმა ერთი და იგივე ბგერათკომპლექსით გადმოიცემა. გარჩეულია აგრეთვე ქალიშვილისა და ვაჟიშვილის შვილები *kız oğlu* – ქალიშვილის შვილი, *oğul oğlu* – ვაჟიშვილის შვილი. თურქულში ვაჟის ან ქალის შვილი ორგანული ტერმინით *torun* გადმოიცემა, თუმცა გარჩეულია ქალიშვილის და ვაჟიშვილის შვილი ტერმინებით, ქართულში იმავე ცნებას ტერმინი „შვილიშვილი“ გადმოსცემს, კუთხურ მეტყველებაში გავრცელებულია „ბადიში“.

ზოგჯერ ერთი და იგივე ტერმინი სხვადასხვა ნათესაურ ურთიერთობას გადმოსცემს. მაგალითად, ქმრის დედას ცოლისათვის და ცოლის დედას ქმრისათვის ერთი და იგივე ტერმინი – *kayınan||kayınvalide* აღნიშნავს. ეს ტერმინი აღწერით ნაწარმოებია. ქართულში ეს ცნებები სხვადასხვა ბგერათკომპლექსით გადმოიცემა: დედამთილი – ქმრის დედა ცოლისათვის, სიდედრი – ცოლის დედა ქმრისათვის. ერთი და იგივე ენობრივი ერთეული გამოხატავს მამამთილსა და სიმამრს: *kayınbaba||kayınata||kayınpeder*. ქართულში კი ეს ცნებები აღნიშნულია განსხვავებული ბგერათკომპლექსით: მამამთილი – ქმრის მამა ცოლისათვის; სიმამრი – ცოლის მამა ქმრისათვის.

თურქული ენა დედის ან მამის მშობლების აღსანიშნად აღწერით წარმოებას მიმართავს – *büyük anne* – დიდედა, ბებია; *büyük baba* – პაპა, ბაბუა. სიტყვასიტყვით ტერმინები გადმოსცემენ: დიდი დედა; დიდი მამა. ასეთი წარმოება ზოგადად დამახასიათებელია

თურქული ენებისათვის. ქართულში ასეა ნაწარმოები დიდედა (დედის ან მამის დედა) – მიღებულია დიდი დედა-საგან.

თურქულში ნაცვალნათესაობის აღმნიშვნელი ტერმინების წარმოებაში მონაწილეობს *üvey* – არა ღვიძლი, არა ნამდვილი; *üvey ana* – დედინაცვალი, *üvey baba* – მამინაცვალი, *üvey kız* – გერი ქალიშვილი, *üvey oğul* – გერი ვაჟიშვილი. ქართულში ამ ფუნქციას ასრულებს ნაცვალი: დედის ნაცვალი – დედინაცვალი; მამის ნაცვალი – მამინაცვალი; ხოლო არა ღვიძლ შვილს ანუ ერთ-ერთი მეუღლის შვილს მეორესათვის გერი აღნიშნავს.

თურქულში კუთვნილებითი კატეგორიის აფიქსები დაერთვის ნათესაობის ტერმინებს და ასრულებს იმ ფუნქციას, რასაც ქართულში კუთვნილებითი ნაცვალსახელები. კუთვნილებით აფიქსს თურქულში ნათესაური ურთიერთობის აღმნიშვნელი ყველა ტერმინი დაირთავს, ქართულში კი მხოლოდ „ა“ ხმოვანზე დაბოლოებული, ორ და მეტ მარცვლიანი, ამასთანავე ერთი საფეხურით უფროსი (დედა, მამა, ბიძა...) ნათესაური ურთიერთობის გამომხატველი სიტყვა დაირთავს კუთვნილებით ნაცვალსახელებს.

მიმართვის ფორმად თურქულში გამოიყენება ნათესაობის ტერმინი, წარმოდგენილი საწყისი ფორმით და ასევე მასზე კნინობით-ალერსობითი აფიქსის დართვით შედეგად მიღებული ფორმა. ქართულში მიმართვის ფორმები უფრო მრავალფეროვანია. მაგალითად:

თურქულში დედისადმი მიმართვის ფორმებია: *ana||anne* – დედა; მიმართვის ფორმა იწარმოება *ana||anne-ზე -lik4* კნინობით-ალერსობითი აფიქსის დართვით. ნიშნავს: დედიკო, დედილო;

ქართულში მდებდრობითი სქესის მშობლისადმი მიმართვისას გამოიყენება დედა და აგრეთვე ამ ტერმინის კნინობით-ალერსობითი ფორმები:

1. დედიკო (დედიკოსი)
2. დედილო, გვხვდება წოდებით ბრუნვაში.
3. დედილოს შეკვცილი ფორმაა – დედი
4. დედილამ, დედილას
5. დედაისი
6. დედიჟან

როგორც თურქულში ასევე ქართულში ნათესაობის ტერმინები, როგორც ნათესაური ურთიერთობის აღმნიშვნელი ამა თუ იმ კომპოზიტის კომპონენტია.

ana: *üvey ana* – დედინაცვალი. *üvey* ნიშნავს არა ნამდვილს, არა ღვიძლს. აქედან, გამომდინარეობს კომპოზიტის მნიშვნელობა: არა ნამდვილი, არა ღვიძლი დედა ანუ დედინაცვალი.

დედა: დედ-მამა (დედ-მამისა) - დედა და მამა, მშობლები.

baba: *babasının oğul* - ალი-კვალი მამა ანუ მამიკოს ბიჭი.

oğul: *ana oğul* დედა-შვილი (ვაჟიშვილი).

ვაჟი: ქალ-ვაჟი.

kardeş: kardeş çocukları სიტყვასიტყვით ნიშნავს „ძმის შვილები“, კომპოზიტის მნიშვნელობაა „ბიძაშვილები“.

ძმა: ცოლისძმა, და-ძმა, დედის ძმა.

პაპა: პაპიდა – პაპის და.

dayı: dayızade – ბიძაშვილი დედის მხრიდან.

karı: karı koca – ცოლ-ქმარი.

ცოლი: ცოლ-შვილი – ცოლი და შვილი.

kayınana: kayınana dili – მცენარე, კაქტუსის ერთ-ერთი სახეობა - დედამთილის ენა.

გარდა იმისა, რომ ეს ტერმინები ნათესაურ ურთიერთობებს აღნიშნავენ, ზოგი მათგანი სხვა მნიშვნელობებს გადმოსცემს. მაგალითად:

ანატოლიურ თურქულში ana გარდა ნათესაური ურთიერთობისა, გადმოსცემს მნიშვნელობას: ძირითადი, მთავარი; დედალი (ცხოველი, ფრინველი).

ana defter – მთავარი რვეული, რომელშიც მიმდინარეობს საბუღალტრო აღრიცხვა.

ana fikir – დედააზრი, მთავარი აზრი, არსი.

ana kapı – შენობის წინა მთავარი შესასვლელი კარი.

ana kent – მთავარი ქალაქი (დედაქალაქი) ქვეყანაში ან რეგიონში.

ana saat – ასტრ. ტერმინი – მთავარი საათი ობსერვატორიაში.

„დედა“ ქართულში ნათესაური ურთიერთობების გარდა სხვა მნიშვნელობებსაც გადმოსცემს. მაგალითად:

1. ზოგიერთი ფრინველი, ცხოველი ან მწერი თავისი შვილის მიმართ.

2. გადასაწიფნი||დედა ვაზი.

3. ნიშნავს ძირითადს, მთავარს.

4. რელიგიური თვალსაზრისით ნიშნავს ღვთისმშობელს.

„დედას“ აქვს სრულიად განყენებული მნიშვნელობა, კერძოდ, ნიშნავს: შესადედებელ კვეთს საყველედ.

რაც შეეხება თურქეთსა და საქართველოში გავრცელებულ ქორწინების სახეებს, მეტ-ნაკლებად მსგავსია, განსაკუთრებით ეს მსგავსება აჭარაში შეიმჩნევა, რაც მასზე თურქეთის გავლენით, ისტორიული პირობებით, ისლამის გავლენით აიხსნება. მსგავსია ნიშნობა, მოტაცება, „დაჯდომა“, „რძლის დაბრუნების“ წესი, „ჩასიძება“. საქართველოში აკრძალულია ე. წ. კუზენური ქორწინება, თურქეთში კი ამის უფლებას სარწმუნოება იძლევა. მართალია, ყურანში არ წერია, რომ ასეთი ქორწინება დაშვებულია, თუმცა არც მის აკრძალვაზეა საუბარი. მსგავსია ბიძის, განსაკუთრებით დედის ძმის მონაწილეობა დისშვილის ქორწინებაში. აგრეთვე უფროსი ძმების მონაწილეობა. ავი სულებისაგან დაცვის მიზნით დედოფლისათვის თმების გაშლა, გახსნილი მაკრატლის, დანის

დაკეტვა. აჭარაში, გარდა ქორწინების წესებისა, შემოსულია თურქული და არაბული ტერმინები:

altın||altun – ალთუნი – ოქრო; ოქროს მონეტა

aşçı – აშიჩი||არჩი – მზარეული

baldız – ბალდიზი – ცოლის და

başlık – ბაშლუდი – თანხა, რომელსაც ქორწინებისას სიძე უხდის სიმამრს

bayramlık – ბაირამლუდი – სადღესასწაულო; სადღესასწაულო საჩუქარი

beşik kertme – ბეშიქერთმა – აკვნის დაჭდევა

duvak – ტვალი||დუვალი – თავსაბურავი; პირბადე

düğün – დუგუნი – ქორწილი

elçi – ელჩი

erişte – ერიშტა: შაქარმოყრილი, წვრილად დაჭრილი თხელი პურის ცომი – წვრილად დაჭრილი თხელი ცომი

mıhr||mehr – მიჰრი||მეჰრი – არაბ. მუსლიმური წესით ქალის ოჯახისათვის გადასახდელი თანხა

nikâh – ნიქახი – არაბ. 1. დაქორწინება 2. ქორწილზე დათქმული თანხა, რომელიც ვაჟს ქალისათვის უნდა გადაეხადა გაყრის ან გარდაცვალების შემთხვევაში

nişan – ნიშნობა

ocak – ოჯახი -კერა, სახლი

rüşvet – რიშვეთი – არაბ. ქრთამი

საერთოა ქორწილზე სტუმრების მოსაწვევად ვინმეს გაგზავნის წესი, მექორწილე ოჯახისათვის შეწევნა. როგორც აღვნიშნე, ასევე ძმა-ბიძების მონაწილეობა, თუმცა ყველაზე დიდ როლს შვილების დაქორწინებაში მშობლები ასრულებენ.

დამონებაანი

შ. აფრიდონიძე. მიმართვის ფორმათა სტრუქტურა და ფუნქციონირება ახალ ქართულში, თბილისი, 2003;

მზ. ბექაია. ოჯახის განვითარების სოციალური პრობლემები. თბილისი, 1980;

მზ. ბექაია. ძველი და ახალი საქორწინო ტრადიციები აჭარაში. თბილისი, 1974;

ც. ბიბილეიშვილი. ნათესაობის აღმნიშვნელი ტერმინები ქართულსა და ფრანგულ ენებში, – კავკასიის უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული. თბილისი, 2013;

ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე. ქართული დიალექტოლოგია. ტ. I, თბილისი, 1961;

- ლ. რუხაძე. ნათესაობის ამსახველი ტერმინოლოგია თურქეთში მცხოვრებ ქართველთა მეტყველებაში, – პერსპექტივა XXI. ტ. VII, თბილისი, 2005;
- ბ. ფოჩხუა. ქართული ენის ლექსიკოლოგია. თბილისი, 1974;
- შ. ფუტყარაძე. ჩვენებურების ქართული. ბათუმი, 1993;
- ე. ოთარაშვილი. სისხლით ნათესაობის აღმნიშვნელი ლექსიკონათვის არაბულში, – ივ. ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები. თბ., 2002;
- ს.-ს. ორბელიანი. ლექსიკონი ქართული. ტ. 2. თბილისი, 1993;
- ა. შანიძე. ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, – თხზულებანი 12 ტომად, ტ. 3. თბილისი, 1980;
- მ. ჯიქია. თურქული წარმომავლობის ნათესაობის ტერმინები ქართულ ანთროპონიმიაში, – ქართველური ონომასტიკა. VIII. კრებული ეძღვნება ონომასტიკის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელს, პროფესორ პაატა ცხადაიას. თბილისი, 2017;
- მ. ჯიქია. თურქიზმები ქართველურ ანთროპონიმიაში. თბილისი, 2008;
- ჩვენი საუნჯე. #12. თბილისი, 1961;
- İbrahim Arısoy. Gürcüce-Türkçe Sözlük. Ankara, 2010;
- Erdal Aydoğmuş. Kazak Türkçesinde Akrabalık Terimleri, – Akademik Bakış Dergisi Sayı: 65. Ocak-Şubat, 2018;
- Aygen Erdentuğ. Günümüz Türkiyesinde Akrabalık Terimlerinin Kullanımı, – Türk Tarih Kurumu Belleten. Cilt 56 - Sayı 216, Ağustos 1992;
- Liubov Kara-ool. Tuvacadaki Akrabalık Terimlerine Dair, – V. Uluslararası Türk Dili Kurultayı, (20-26 Eylül). Ankara, 2004;
- Sedat Veyis Örnek. Türk Halkbilimi. Ankara, 1977;
- Türkçe-Gürcüce Sözlük. İstanbul, 2001;
- Г. А. Антелава. Краткий турецко-русский словарь „новых“ слов // Türkçe-Rusça „Yeni Sözlük“ Kısa Sözlüğü. Тбилиси, 1978;
- Л. А. Покровская. Термины родства в тюркских языках, – Историческое развитие тюркских языков. Москва, 1961;
- Э. Г. Соселия. Анализ систем терминов родства. Тбилиси, 1979;
- Турецко-русский словарь, Москва, 1977.